

• Visegrad Fund

კომუნალური სერვისების რეგულირება სლოვაკეთში (მნიშვნელოვანი ინიციატივების მიმოხილვა)

ავტორი: ვერონიკა ორავცოვა, სლოვაკეთის
საგარეო პოლიტიკის ასოციაციის კვლევითი
ცენტრი (SFPA)

პროექტი: ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების
გაზიარება კომუნალური მომსახურების რეგულირების
შესახებ

თარიღი: ოქტომბერი, 2024



SFPA
Slovak Foreign Policy Association

შესავალი

ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი (შემდგომში “მარეგულირებელი ოფისი”) წარმოადგენს ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს, რომელიც აკონტროლებს ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, თბური ენერჯისა და წყალმომარაგების სექტორებს. მარეგულირებელი ოფისი დაარსდა 2001 წლის აგვისტოში და მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყება და უფლებამოსილია უზრუნველყოს ბალანსი ინვესტორებისა და მომხმარებლების ინტერესებს შორის და წარმოადგენს ერთადერთ სახელმწიფო (საჯარო) ორგანოს, რომელიც ახორციელებს ქსელის სექტორის ზედამხედველობას.¹ მარეგულირებელი ოფისის მთავარი ფუნქციაა ორივე მხარის ინტერესების დაცვა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ინვესტიციის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია რენტაბელობაზე. ამავდროულად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ მომხმარებლები არ ექვემდებარებოდნენ არასამართლიანი ფასების პრაქტიკას. ამრიგად, მარეგულირებელი ოფისის ევალება ხელი შეუწყოს ინვესტიციებისთვის ხელსაყრელ გარემოს შექმნას მომხმარებელთა კეთილდღეობისთვის ზიანის მიყენების გარეშე და ამგვარად, უზრუნველყოს სამართლიანობა ყველა დაინტერესებული მხარისთვის ფასწარმოქმნის პროცესში.

მისი უპირველესი მიზანია ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და თბური ენერჯის სექტორებში რეგულირებადი საქმიანობის მონიტორინგი, ყველა მხარის უფლებების დაცვით. საკანონმდებლო თვალსაზრისით, მარეგულირებელი ოფისის უფლებამოსილება განისაზღვრება საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით, კერძოდ, ენერჯეტიკის შესახებ No.251/2012 კანონითა და ქსელის სექტორის შესახებ No.250/2012 კანონით, რომლებიც მას უფლებას აძლევენ დაარეგულიროს ფასები და ძირითადი ასპექტები ქსელის სექტორის ფარგლებში. თუმცა, თითოეული სექტორი მოქმედებს კონკრეტული საკანონმდებლო დებულებების შესაბამისად, რაც აწესებს პირობებს მათი შესაბამისი საქმიანობისთვის.

1. ენერჯეტიკული ბაზრების ლიბერალიზაცია

სლოვაკეთში ელექტროენერჯის და გაზის ბაზრების ლიბერალიზაცია დაიწყო 2000-იანი წლების დასაწყისში, ევროკავშირის რეგულაციებთან ჰარმონიზაციისა და კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით. ეს პროცესი მიზნად ისახავდა აღნიშნული ბაზრების გახსნას მომწოდებლისთვის, რაც მომხმარებელს მეტ არჩევანს მისცემდა და უზრუნველყოფდა ფასების კონკურენციის ხელშეწყობას. პირველ ეტაპზე მოხდა ელექტროენერჯისა და გაზის კომპანიების წარმოების, განაწილებისა და მიწოდების საქმიანობების განცალკევება და მონოპოლიური ქსელის ოპერაციების გამიჯვნა კონკურენტული მიწოდების მომსახურებისგან. დროთა განმავლობაში, ორივე ბაზარზე გაიზარდა კერძო და უცხოური

¹ URSO-ს შესახებ (2024). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.urso.gov.sk/about-urso/>

ინვესტიციები, მარეგულირებელ ზედამხედველობას კი მარეგულირებელი ოფისი ახორციელებდა. გამოწვევების მიუხედავად, ლიბერალიზაციამ თანდათან გააძლიერა გამჭვირვალობა და ბაზრის ეფექტურობა.

ელექტროენერჯისა და გაზის ბაზრების ლიბერალიზაცია განაპირობა რამდენიმე ძირითადმა კანონმა და დებულებამ, რომლებიც შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს, კერძოდ:

- კანონი No. 656/2004 ენერჯეტიკის შესახებ: ეს კანონი მნიშვნელოვანი იყო ელექტროენერჯეტიკისა და გაზის სექტორების ლიბერალიზაციის ჩარჩოს შესაქმნელად. კანონმა უზრუნველყო წარმოებისა და განაწილების მომსახურებების განცალკევება და კონკურენცია მიწოდების სფეროში, რაც ახალ მოთამაშეებს ბაზარზე შესვლის საშუალებას აძლევდა.
- კანონი No. 276/200 ქსელის სექტორის რეგულირების შესახებ: კანონის საფუძველზე დაარსდა სლოვაკეთის ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი (ÚRSO), დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელი ახორციელებს ბაზრის საქმიანობის ზედამხედველობას, აწესებს ტარიფებს და უზრუნველყოფს სამართლიან პრაქტიკას ქსელის სექტორში, მათ შორის ელექტროენერჯის და გაზის სფეროში.
- კანონი No251/2012 ენერჯეტიკის შესახებ: განახლებულმა ენერჯეტიკულმა კანონმდებლობამ უზრუნველყო ევროკავშირის ენერჯეტიკულ კანონმდებლობასთან, კერძოდ, ევროკავშირის მესამე ენერჯეტიკული პაკეტთან შესაბამისობა, რომელიც ორიენტირებულია განცალკევების საქმიანობასა და მომხმარებელთა უფლებებზე. კანონის საფუძველზე დაინერგა ღონისძიებები ბაზრის გამჭვირვალობის, ინფრასტრუქტურაზე წვდომის გაუმჯობესებისა და მომხმარებელთა დაცვის მიმართულებებით.
- მესამე ენერჯეტიკული პაკეტი (EU): მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პაკეტი არ წარმოადგენს ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, ევროკავშირის ამ დირექტივამ დიდი გავლენა მოახდინა სლოვაკეთის ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესზე. პაკეტი ხაზს უსვამს გადამცემი ოპერატორების საკუთრების სრულ განცალკევებას, აძლიერებს ენერგოეფექტურობას და მომხმარებელთა უფლებებს, რაც ხელს უწყობს კონკურენტული ბაზრის შექმნას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად.

რეგულირების ძირითადი პრინციპი რეგულირების ხუთწლიანი პერიოდისთვის ემყარება ზღვრული ფასის მეთოდს. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მომგებიანობას მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნესი ეფექტურად ხორციელდება, რაც წაახალისებს ქსელის ოპერატორებს მინიმუმამდე დაიყვანონ საკუთარი ზარალი. მარეგულირებელი ოფისის მიერ მიღებული ახალი მარეგულირებელი პოლიტიკა მე-6 მარეგულირებელი პერიოდისთვის (2023 წლის 1 იანვრიდან 2027 წლის 31 დეკემბრამდე) მხარს უჭერს მიწოდების ინოვაციურ პროდუქტებს დინამიური ტარიფებითა და განაწილების ახალი ტარიფებით, ახალი ტექნოლოგიების წახალისების, და ენერჯის შენახვისა და მოქნილობის მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ისეთი ტენდენციების პოპულარიზაციისთვის, როგორებიცაა აგრეგაცია და მოქნილობა, პოლიტიკა ნერგავს დინამიურ ფასებს სარეზერვო სიმძლავრისა და განაწილებისთვის. ამ პერიოდის განმავლობაში, მარეგულირებელი ოფისი მიზნად ისახავს განაწილების დატვირთვების უკეთ მართვას მოქნილობისა და დინამიური ფასწარმოქმნის, სისტემის ეფექტურობის მაქსიმალური გაზრდის, გადახრების შემცირებისა და ბაზრის ახალი მონაწილეების საჭიროებების დაკმაყოფილების გზით.

ელექტროენერჯის დარგში სლოვაკეთმა დანერგა რეგიონების ფასების დაწყვილების (PCR) სისტემა ევროპის მასშტაბით ელექტროენერჯის ბაზრების დასაკავშირებლად. 2014 წელს 4M Market Coupling-ის (4M MC)² დაარსებამ და 2021 წელს ექსპლუატაციაში გაშვებამ ხელი შეუწყო ევროპის შიდა ენერგეტიკული ბაზრის შექმნას ოთხი ცენტრალური ბაზრისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრირებით: OTE ჩეხეთში, HUPX უნგრეთში, OPCOM რუმინეთში და OKTE სლოვაკეთში (მოკლევადიანი ელექტროენერჯის ბაზრის ოპერატორი). 4M MC წარმოადგენდა მნიშვნელოვან ნაბიჯს ელექტროენერჯის საერთო ბაზრისა და რეგიონული ბაზრის დაწყვილების სისტემის შექმნისკენ. ის ფუნქციონირებს, როგორც ATC-ზე დაფუძნებული დღით ადრე აუქციონი იმპლიციტური განაწილებით და ისწრაფვის ევროკავშირის სამიზნე მოდელთან თავსებადობისკენ.

2. განახლებადი ენერჯის მხარდაჭერა

განახლებადი ენერჯისთვის მწვანე ტარიფის (FiT) სქემის დანერგვა სლოვაკეთში დაიწყო 2009 წელს განახლებადი ენერჯის წახალისების მიზნით ევროკავშირის მიზნების შესაბამისად. სქემა მოიაზრებდა გარანტირებულ საბაზრო განაკვეთებს განახლებადი წყაროებიდან გამომდინარე ელექტროენერჯისთვის და მიზნად ისახავდა ინვესტიორების მოზიდვას და მზის, ქარისა და ბიომასის ენერჯის წარმოების ზრდის სტიმულირებას.

როგორც ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ გეგმაშია ხაზგასმული (სლოვაკეთის სამიზნე მაჩვენებელი 2030 წლისთვის არის განახლებადი ენერჯის წილის 30 პროცენტი), განახლებადი ენერჯიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოების მხარდაჭერა გაგრძელდება ძირითადად საოპერაციო დახმარებაზე დაყრდნობით, რაც განსაზღვრულია მხარდაჭერის რეფორმით, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის დასაწყისში. ამ რეფორმის მიხედვით, 500 კვტ-ზე მეტი დადგმული სიმძლავრის ობიექტების მხარდაჭერის ძირითად ფორმად დარჩება დამატებითი გადასახადი, რაც ნიშნავს, რომ ელექტროენერჯის გენერატორები პასუხისმგებელნი არიან გაყიდონ თავიანთი ელექტროენერჯია ბაზარზე და მართონ ნებისმიერი პოტენციური უბალანსობა. აუქციონის პროცესში წარმატებული მონაწილეობა ამ დამატებითი გადასახადის მხარდაჭერის მიღების წინაპირობაა. რეფორმის ფარგლებში, დაინერგა 500 კვტ-მდე დადგმული სიმძლავრის ახალი

² Národní regulátori k projektu market coupling (2024). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. <https://www.urso.gov.sk/narodni-regulatori-k-projektu-market-coupling/>

მწარმოებლებისთვის წინასწარ ფიქსირებული მწვანე ტარიფის (FIT) მხარდაჭერის დამატებითი სქემა. 250 კვტ-მდე სიმძლავრის მქონე ობიექტებისთვის შესაძლებელია მხარდაჭერის მიღება FIT სისტემის მეშვეობით ელექტროენერჯის შეძენის გზითა და ნებისმიერ უბალანსობაზე პასუხისმგებლობის აღებით. 250 კვტ-მდე სიმძლავრის ობიექტებისთვის აღნიშნული მხარდაჭერა ხელმისაწვდომი იქნება 2033 წლამდე, როცა შემსყიდველი ორგანიზაციის საქმიანობაც შეწყდება³.

2019 წელს დაინერგა „ლოკალური წყაროს“ კონცეფცია, რომელიც გულისხმობს განახლებადი ენერჯის უფრო მცირე, არამხარდაჭერილ დანადგარებს, რომლებიც იღებენ გარკვეულ მარეგულირებელ სარგებელს. ⁴ ეს დანადგარები გათავისუფლებულია განაწილების ზოგიერთი გადასახადისგან, როგორცაა მიერთებისა და გამრიცხველიანების გადასახადები, ენიჭება ქსელის პრიორიტეტი და არ ექვემდებარება ტარიფებს სისტემის მომსახურებისთვის ან ქსელის მუშაობისთვის. თუმცა, არსებობს გარკვეული შეზღუდვებიც: ადგილობრივი წყაროს დადგმული სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს მის მაქსიმალურ მოხმარებას (500 კვტ-მდე) და ამ სიმძლავრის მხოლოდ 10%-მდე შეიძლება შევიდეს ქსელში ელექტროენერჯით ვაჭრობისთვის. გარდა ამისა, ეს განახლებადი ენერჯის წყაროს დანადგარები არ ხვდება FiT სქემის მოქმედების არეალში.

3. ქსელის მოდერნიზაცია

ჭკვიანი ქსელების განვითარებისა და განახლებადი ენერჯის წყაროების ინტეგრირებისთვის მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს სლოვაკეთისა და ჩეხეთის ტრანსსასაზღვრო ინიციატივა ACON. პროექტის მიზანია გააძლიეროს განაწილების სისტემის ეფექტურობა და უსაფრთხოება, განსაკუთრებით სასაზღვრო რაიონებში. ის ორიენტირებულია ჩეხეთისა და სლოვაკეთის ელექტროენერჯის ბაზრების გაერთიანებაზე, რათა შეიქმნას მდგრადი და ეკონომიკურად მომგებიანი ელექტროენერგეტიკული სისტემა მინიმალური დანაკარგებით. ACON აერთიანებს ჭკვიან ტექნოლოგიებს, მათ შორის ინტელექტუალური დატვირთვის მართვისა და მოწინავე კომუნიკაციის ელემენტებს, რათა გააუმჯობესოს ურთიერთდაკავშირება და ხელი შეუწყოს განახლებადი ენერჯის ინტეგრაციას⁵.

ანალოგიურად, სლოვაკეთსა და უნგრეთს შორის Danube InGrid პროექტი მიზნად ისახავს გააძლიეროს განახლებადი ენერჯების ინტეგრაცია გამანაწილებელ ქსელში ჭკვიანი ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორც გადაცემის, ასევე განაწილების დონეზე და

³ 2021-2030 წლების ინტეგრირებული ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმის განახლების პროექტი (2023). სლოვაკეთის ეკონომიკის სამინისტრო.

https://commission.europa.eu/document/download/4f373d12-ce73-403a-a2d5-0107bf3e0c24_en?filename=SLOVAKIA%20-%20DRAFT%20UPDATED%20NECP%202021-2030_EN.pdf

⁴ Lokálny zdroj (2024). SAPI. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.sapi.sk/lokalny-zdroj>

⁵ ACON (2024). ACON. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.acon-smartgrids.cz/sk>

ამავდროულად, ხელი შეუწყოს თანამშრომლობას სლოვაკეთისა და უნგრეთის ელექტროენერჯის ბაზრებს შორის⁶.

ჭკვიანი ქსელის აღნიშნული პროექტების მხარდაჭერის გარდა, სლოვაკეთის ეროვნული მიზნები მოიცავს გაზის გადამცემი ქსელის კოდექსის დროულ იმპლემენტაციას. გადამცემი სისტემის ოპერატორს ამჟამად შეუძლია გაყიდოს გადამცემი სიმძლავრე ტრანსსასაზღვო პუნქტებზე სხვადასხვა პლატფორმების საშუალებით (PRISMA, RBP, GSA), ხოლო 2030 წლისთვის ძალისხმევა მიმართული იქნება გაზის ბაზრების მდგრადობისა და ინტეგრაციის გაძლიერებისკენ.

4. მომხმარებელთა დაცვა

სლოვაკეთში მოქმედებს ფასების რეგულირების სისტემა ელექტროენერჯის მიწოდებაზე მოწყვლადი მომხმარებლებისთვის. ელექტროენერჯის ბაზარზე მოწყვლად მომხმარებლებში მოიაზრება საყოფაცხოვრებო მომხმარებლები, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები, რომელთა ელექტროენერჯის წლიური მოხმარება 30,000 კვტ/სთ-ზე ნაკლებია (განიმარტება, როგორც "ელექტროენერჯის მცირე მომხმარებელი") და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების სხვა შერჩეული ჯგუფები⁷. ბუნებრივი გაზის მოწყვლადი მომხმარებელი განისაზღვრება, როგორც საყოფაცხოვრებო ან გაზის მცირე მომხმარებელი, რაც გულისხმობს მცირე საწარმოებს. კერძოდ, გაზის მცირე მომხმარებელი არის ბუნებრივი გაზის ნებისმიერი საბოლოო მომხმარებელი, რომლის წლიური მოხმარება ყველა მიწოდების პუნქტში წინა წელს არ აღემატება 100000 კვტ/სთ-ს, რაც მათ მომხმარებელთა მოწყვლად ჯგუფს მიაკუთვნებს. ბუნებრივი გაზის სექტორში ფასების რეგულირება ვრცელდება შემდეგ კატეგორიებზე: გაზის მიწოდება საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის, გაზის მიწოდება მცირე მომხმარებლებისთვის და გაზის მიწოდება ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლისთვის. გარდა ამისა, 2022 წლის ენერგეტიკული კრიზისის დროს, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები განისაზღვრა, როგორც მოწყვლადი მომხმარებლები⁸.

ასევე, გაზისა და ელექტროენერჯის ბაზრებზე ბოლო ალტერნატივის სტატუსი წარმოადგენს დამცავ მექანიზმს მომხმარებელთათვის უწყვეტი მომსახურების უზრუნველსაყოფად, თუ რეგულარული მიმწოდებელი ვერ მიაწვდის ენერჯიას⁹. ელექტროენერჯის სექტორში, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლები აქტიურდებიან, თუ ელექტროენერჯის მიმდინარე მიმწოდებელი ვერ აგრძელებს მომსახურების მიწოდებას მომხმარებლისთვის ფინანსური გადახდისუუნარობის, ლიცენზიის დაკარგვის ან ბიზნესთან დაკავშირებული სხვა პრობლემების გამო. ეს უზრუნველყოფს, რომ

⁶ Danube InGrid (2024). Danube InGrid. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://danubeingrid.eu/>

⁷ Zákon o regulácii v sieťových odvetviach (2024). Zákony pre ľudí. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.zakonypreludi.sk/zz/2012-250>

⁸ იგივე

⁹ Dodávateľ poslednej inštancie (2024). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://www.urso.gov.sk/47148-sk/dodavatel-poslednej-instancie/>

შინამეურნეობებსა და მოწყვლად მომხმარებლებს უწყვეტად მიეწოდებოდა ელექტროენერგია. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლებს ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს მთავრობა ან მარეგულირებელი ოფისი და მათ მოეთხოვებათ ელექტროენერგია შესთავაზონ მომხმარებლებს რეგულირებული ფასებით შეზღუდული დროით. ამ პერიოდის განმავლობაში, მომხმარებლებს შეუძლიათ იპოვონ ახალი მიმწოდებელი სტანდარტული სახელშეკრულებო პირობებით. ანალოგიურად, გაზის სექტორში, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი აქტიურდება, თუ მომხმარებლის რეგულარულ გაზის მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების მიწოდება. ეს ვარიანტი უზრუნველყოფს მიწოდების უწყვეტობას და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფრო ცივ თვეებში, როდესაც მაღალია გაზზე მოთხოვნა. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი მომხმარებელს აწვდის გაზს რეგულირებულ ფასში და პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს მოწყვლად მომხმარებლებს, როგორცაა საყოფაცხოვრებო მომხმარებლები და მცირე ბიზნესი, რომლებიც განსაკუთრებით არიან დამოკიდებულნი გაზის სტაბილურ მიწოდებაზე. რეგულირებული პერიოდი მომხმარებელს აძლევს დროს გააფორმოს ახალი კონტრაქტი სხვა მიმწოდებელთან.

2022 წლის ივლისში სლოვაკეთმა ეროვნულ კანონმდებლობაში დანერგა მოთხოვნები პაკეტიდან „სუფთა ენერჯია ყველა ევროპელისთვის“, რაც კონკრეტულად ორიენტირებული იყო ელექტროენერჯიის შიდა ბაზარზე. ეს მოიცავდა მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელოვან დებულებებს, რომლებიც ასახულია ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში (EU) 2019/944¹⁰. გარდა ამისა, სლოვაკეთმა გადახედა რეგულაციებს რომლებიც ეხებოდა ელექტროენერჯიის საცალო ბაზარზე ფასწარმოქმნის პროცესში სახელმწიფოს ჩარევას. ცვლილებები აისახა ორ ძირითად კანონში შეტანილი შესწორებებში: კანონი No250/2012 ქსელის სექტორის რეგულირების შესახებ და კანონი No251/2012 ენერგეტიკის შესახებ. ეს ცვლილებები მოიცავდა რამდენიმე მნიშვნელოვან განახლებას, მათ შორის ელექტროენერჯიისა და გაზის საცალო ფასების რეგულირებას და ელექტროენერჯიისა და გაზის მომხმარებელთა დაცვას.

მომხმარებელთა დაცვის კანონში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებები აძლიერებს მომხმარებელთა უფლებებს ელექტროენერჯიის ბაზარზე რამდენიმე ძირითადი დებულებით, რაც მოიცავს მომხმარებელთა უფლებას, თავისუფლად აირჩიონ და შეცვალონ ელექტროენერჯიის მიმწოდებელი ან აგრეგატორი, ასევე განსაზღვრულია მკაფიო წესები ნებისმიერი დაკავშირებული გადასახადების შესახებ. კანონმდებლობა ხელს უწყობს მიმწოდებლის კოლექტიურ შეცვლას, საშუალებას აძლევს მომხმარებელთა ჯგუფებს ერთად შეცვალონ მიმწოდებლები და სავალდებულოს ხდის დინამიური შედარების ინსტრუმენტის დანერგვას სხვადასხვა მიმწოდებლების შეთავაზებების მარტივად შედარების მიზნით. გარდა ამისა, ახალი წესები არეგულირებს ინვოისებსა და ბილინგის შინაარსსა და ფორმატთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ხოლო სასამართლოს გარე დავების მოგვარებასთან დაკავშირებული

¹⁰ <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2019/944/oj>

დებულებები მომხმარებლებს სთავაზობს მომწოდებლებთან ან აგრეგატორებთან დაგების გადაჭრის ალტერნატიულ მეთოდს¹¹.

2022 წელს, მარეგულირებელმა ოფისმა შეიმუშავა უფრო დეტალური დოკუმენტი, რომელიც მოიცავდა ენერგეტიკული სიღარიბის შემოთავაზებულ განმარტებას¹². ეს დოკუმენტი დადებითად შეფასდა ენერგეტიკის ანალიტიკოსების მიერ და მთავრობამ 2023 წლის იანვარში აღიარა ე.წ. ფარული ენერგეტიკული სიღარიბის საკითხი. თუმცა, საჭიროა შემდგომი ნაბიჯები ამ ზომების კანონმდებლობაში გასათვალისწინებლად.

ამ ძალისხმევის მხარდასაჭერად, 2023 წლის მარტში მარეგულირებელმა ოფისმა ჩამოაყალიბა მინისტრთაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან ძირითადი სამინისტროების წარმომადგენლები, როგორებიც არიან სოციალური და საოჯახო საქმეების, ფინანსთა, ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროები. ჯგუფის მიზანია მეთოდოლოგიის, დასაშვებობის კრიტერიუმებისა და მომხმარებლების ენერგეტიკული სიღარიბისგან დასაცავი ზომების შემუშავება. ქვემოთ წარმოდგენილია შემოთავაზებული განმარტება:

„საყოფაცხოვრებო მომხმარებელი ენერგეტიკული სიღარიბის საფრთხის წინაშე დგას, თუ შემდეგი კრიტერიუმებიდან კმაყოფილდება ერთ-ერთი მაინც (A, B, ან C):

ა) საყოფაცხოვრებო მომხმარებელი ენერგეტიკული სიღარიბის საფრთხის წინაშეა, თუ ენერჯისა და წყლის მოხმარების საბაზისო საფასურის გადახდის შემდეგ, რაც აუცილებელია ცხოვრების ნორმალური დონისა და ოჯახის წევრების ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, დარჩენილი შემოსავალი 1,5-ჯერ ნაკლებია საარსებო მინიმუმზე და, ამავდროულად, მისი განკარგვადი შემოსავლის წმინდა ჯამური წლიური ექვივალენტი წინა წლისთვის, რაც იანგარიშება შინამეურნეობის წევრების რაოდენობის მიხედვით, ნაკლებია ეროვნულ მედიანაზე.

ბ) საყოფაცხოვრებო მომხმარებელი ენერგეტიკული სიღარიბის საფრთხის წინაშეა, თუ მისი წლიური ენერგეტიკული ხარჯები წინა კალენდარული წლისთვის ეროვნულ მაჩვენებლის ნახევარზე ნაკლებია და მისი ჯამური წმინდა წლიური ექვივალენტური განკარგვადი შემოსავალი იმავე პერიოდისთვის ნაკლებია ეროვნული მაჩვენებლის 60%-ზე.

¹¹ 2021-2030 წლების ინტეგრირებული ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმის განახლების პროექტი (2023). სლოვაკეთის ეკონომიკის სამინისტრო. ხელმისაწვდომია ონლაინ:https://commission.europa.eu/document/download/4f373d12-ce73-403a-a2d5-0107bf3e0c24_en?filename=SLOVAKIA%20-%20DRAFT%20UPDATED%20NECP%202021-2030_EN.pdf

¹² ÚRSO იწყებს საჯარო კონსულტაციებს ენერგეტიკული სიღარიბისგან მომხმარებელთა დაცვის კონცეფციის პროექტზე (2022). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ:<https://www.urso.gov.sk/urso-otvara-verejne-pripomienkovanie-navrhu-koncepcie-ochrany-odberatelov-pred-energetickou-chudobou/>.

გ) საყოფაცხოვრებო მომხმარებელი რომელსაც არ აქვს ფიზიკური წვდომა ელექტროენერგიაზე მკაფიოდ განსაზღვრული მიზეზების გამო.”¹³

შემოთავაზებული მეთოდოლოგიით, ენერგეტიკული სიღარიბის რისკის ქვეშ მყოფი საყოფაცხოვრებო მომხმარებელი განისაზღვრება ენერჯისა და წყლის მთლიანი ხარჯებისა და საყოფაცხოვრებო მომხმარებლის განკარგვად შემოსავლებს შორის ბალანსის შეფასებით. ის ასევე ითვალისწინებს საბაზისო ენერგეტიკულ სტანდარტს და საარსებო მინიმუმს, როგორც ეროვნული, ასევე ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად. მომხმარებელთა შემდგომი დაცვის მიზნით, მარეგულირებელი ოფისი გეგმავს შემდეგი ზომების გატარებას:

- კონსულტაცია მიწოდებისა და ქსელის ტარიფების ოპტიმიზაციის შესახებ;
- დასაბუთებულ შემთხვევებში უფასო განვადების გეგმების შეთავაზების ვალდებულების შემოღება;
- სავალდებულო ენერგეტიკული კონსულტაციების გამართვა მომხმარებელთა კონკრეტული ჯგუფებისთვის;
- ფასდაკლებები დამატებით მომსახურებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება ფასების რეგულირებას;
- ზამთრის სეზონზე ენერჯისა და წყალმომარაგების შეწყვეტისგან დაცვა;
- ენერჯისა და სასმელი წყლის კარდაკარ გაყიდვის აკრძალვა;
- ენერგომომარაგების ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურებებისთვის სატელეფონო ხელშეკრულებების აკრძალვა;
- წესები, რომლებიც საშუალებას აძლევს ყველა შინამეურნეობას, მათ შორის მათ, რომლებსაც არ აქვთ პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობა მიმწოდებელთან, დარეგისტრირდნენ „რეგულირებულ მომსახურებებზე“.

დოკუმენტი ასევე მხარს უჭერს შენობებისთვის ენერჯის შეფასების გამკაცრებულ წესებს, საინფორმაციო კამპანიას, რომელიც მოიცავს ენერგეტიკის მასშტაბურ საკონსულტაციო ქსელებსა და ადგილობრივი ხელისუფლების აქტიურ ჩართულობას ენერგეტიკული სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე ენერგეტიკული სიღარიბის შესახებ ცენტრალიზებული საინფორმაციო ცენტრის შექმნას.

5. ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა

ცენტრალურ ევროპაში სლოვაკეთის პოზიციის გათვალისწინებით, სატრანსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაცია სულ უფრო მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენერგეტიკულ ბაზარზე მონაწილეობისთვის, არამედ განახლებადი ენერჯის წყაროების გავრცელების გასაადვილებლად. სლოვაკეთმა მიიღო მნიშვნელოვანი გამოცდილება 2009 წლის

¹³ Závěry nadrežortnej pracovnej skupiny k implementačným aspektom Koncepcie na ochranu odberateľov spíňajúcich podmienky energetickej chudoby a odporúčania ďalších krokov (2023). ქსელის სექტორის მარეგულირებელი ოფისი. ხელმისაწვდომია ონლაინ: https://www.urso.gov.sk/data/files/702_zavery-nps-k-teme-energetickej-chudoby.pdf

ბუნებრივ გაზთან დაკავშირებული კრიზისის შედეგად, რაც მდგომარეობდა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთკავშირის გაუმჯობესების აუცილებლობაში, რაც ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდისა და იმ კრიზისის განმეორების თავიდან აცილების ერთგვარი ინსტრუმენტია, რომელმაც ეკონომიკას სერიოზული დარტყმა მიაყენა. 2009 წლის ბუნებრივი გაზის კრიზისის დროს სლოვაკეთს სრულიად შეუწყდა ბუნებრივი გაზის მიწოდება, როდესაც რუსეთმა შეაჩერა მიწოდება უკრაინის გავლით, რაც ევროპისკენ გაზის მთავარ სატრანზიტო მარშრუტს წარმოადგენდა. აღნიშნულმა მკვეთრმა შეფერხებამ მძიმე გავლენა მოახდინა სლოვაკეთის ეკონომიკაზე, რადგან ბუნებრივი გაზი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის სამრეწველო და ენერგეტიკული სექტორებისთვის. შედეგად, სლოვაკეთის სამრეწველო ოპერაციების მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეაჩერა საქმიანობა, რასაც მოჰყვა ზარალი წარმოების კუთხით, სამსახურიდან გათავისუფლება და ფინანსური პრობლემები ბიზნესში. კრიზისმა ხაზი გაუსვა სლოვაკეთის მოწყვლადობას რუსულ გაზზე დამოკიდებულების გამო და წარმოშვა მოთხოვნები მომარაგების წყაროების დივერსიფიკაციის, შენახვის სიმძლავრის გაზრდისა და ალტერნატიული ენერჯის ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების შესახებ მომავალი რისკების შესამცირებლად. ბუნებრივი გაზის დეფიციტის ეკონომიკურმა ზემოქმედებამ ხაზი გაუსვა სტრატეგიული ენერჯის მდგრადობის აუცილებლობას, არა მხოლოდ მწარმოებლობის დასაცავად, არამედ სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

2009 წელს ბუნებრივი გაზის კრიზისის შემდეგ შეიქმნა ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფს გაზის რევერსულ ნაკადს ჩეხეთიდან, ავსტრიიდან და უკრაინიდან. 2015 წელს უნგრეთსა და სლოვაკეთს, ხოლო 2022 წელს პოლონეთსა და სლოვაკეთს შორის გაზის ურთიერთკავშირების კომერციულმა ექსპლუატაციამ შესაძლებელი გახადა გადამცემი სისტემის დაკავშირება ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან. ელექტროენერჯის მიმართულებით სლოვაკეთი აძლიერებს ურთიერთკავშირს უნგრეთთან (Danube InGrid) და ავითარებს ჭკვიან კავშირებს ჩეხეთთან (ACON). თუმცა, სლოვაკეთი ელექტროენერჯით არ არის ურთიერთდაკავშირებული ავსტრიასთან ბირთვული ენერჯის მიმართ ქვეყნების განსხვავებული პოზიციის გამო.